# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 202. ხუთშაბათი, 18 მარტი 1904 წ. გაზეთის № 2442.



უკანასკნელი გაზაფხული. სურათი ბარონ კლოდისა.

* * *

დაწუხებული მოვადეგ,
სალამი მივეც არაგვსა;
დავემხე, მუხლი მოვდრიკე,
ვემთხვიე წმინდა ალაგსა.
თვალი გაშტერდა... ვიგონებ
ჩვენს წინაპრების ამაგსა.
შევცქერი, ირგვლივ ქვეყანა
სავსეა ნანგრევებითა
და დიდნი აკალდამანი—
თავდადებულთა ძვლებითა.
ხმას არვინ იღებს... არაგვსა
ვემუდარები კვნესითა:
— მითხარი რამე, არაგვო,
შემმოსე სასოებითა,
ან შავდღეთ მოგონებითა
მატირე მწუხარებითა;
ან დაგვგმე აწ მყოს მყოფელნი
გულ შემზარავის ხმებითა!
თითქო შედგაო, არაგვი
კლდიანი, სავსე ქვებითა,
და გავარკვიე პასუხი,
ნათქვამი გაჯავრებითა:
„სტყუვით და შემცოდენი ხართ
ჩამომავლობის წინაშე,—
მოწამებრივის სისხლისა
ველარ შესწირეთ ზედაშე.
თქვენი წინაპართ აჩრდილნი
იცრემლებიან ზეცაში;
შეჰმუსრეთ გმირთა სამსხვერპლო,
აღარ იწირვის ზვარაკი;
სავსეა გამცემებითა
დაბა, სოფელი, ქალაქი
და მამხილებლის სიტყვისთვის
დაგირქმევიათ არაკი!“
ესა სთქვა, აღშფოთებულმა
ზვირთები ცრემლად აწვიმა
და იმის კვნესას ხმა მოსცა
მცხეთიდან კვართის ნაწილმა.

თ. რაზიკაშვილი.



იაპონელები კორეაში.—სურსათის გადაზიდვა.

# კაცი კოლოფში

ა. ჩეხოვისა

(შემდეგი *)

ამ ბერძნულის ენის მასწავლებელმა, აი ამ კოლოფში მჯდომმა კაცმა,- განაგრძო ბურკინმა,—შეგიძლიანთ თქვენ წარმოიდგინოთ! კინაღამ ცოლი არ შეირთო.

— ეე, ხუმრობთ,—უთხრა ივან ივანიჩმა, სწრაფად მიიხედა-რა სარაიისკენ.

– დიაღ, დიაღ კინაღამ არ დაქორწილდა. აი როგორ იყო საქმე: ჩვენ დაგვინიშნეს ისტორიისა და გეოგრაფიის ახალი მასწავლებელი, გვარად კოვალენკო, მიხეილ სავიჩ ხახოლი, რომელმაც თან თავისი და ვარინკაც მოიყოლა. კოვალენკო მაღალ-მაღალი, ახალგაზდა, შეჭმუხვნილი და უშველებელ ხელებიანია; სახეზე ემჩნევა, რომ ბოხის ხმით უნდა ლაპარაკობდეს, ნამდვილად კი ისეთი ხმა აქვს, თითქოს ბოჭკის რახრახია. ვარინკაც არ არის ახალგაზრდა—ოცდა ათის წლისაა, ისიც მაღალ-მაღალი, მოხდენილი, შავთვალ-წარბა და წითელ ლოყა ქალია; ერთის სიტყვით, გასათხოვარი ქალი კი არა, მარმელადია, ამასთან გამოსული და მხიარული ქალია: სულ ხარხარებს და მალოროსიულ რომანებს მღერის. საკმაოა მცირედი რამ, რომ იგი სიცილს და ხარხარს მოჰყვეს. პირველი საფუძვლიანი გაცნობა კოვალენკოვებთან, მახსოვს, დირექტორისას მოგვიხდა, როდესაც იმასთან დაბადების დღის მისალოცად მიველით. მრისხანე და მოწყენილ პედაგოგთა შორის, რომელნიც დაბადების დღის მისალოცადაც ვალდებულობისა გამო მიდიან, უცებ დავინახეთ ახალი აფროდიტა, რომელიც დოინჯ შემოყრილი კისკისებდა, მღეროდა, ცეკვაობდა. გრძნობით იმღერა „ჰქრიან, ქარნი“, შემდეგ რამდენიმე რომანსი, რამაც ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. აღტაცებაშივე მოვიდა თვით ბელიკოვიც. გვერდით მოუჯდა ვარინკას და ტკბილის ღიმილით უთხრა: „მალოროსიული ენა თავის სინაზისა და სასიამოვნო ხმაურობით არ ჩამოურჩება ძველ ბერძნულს ენას“. ეს ძლიერ ესიამოვნა ვარინკას, ის გრძნობით და დაბეჯითებით მოუყვა ამბავს იმაზე, რომ გადიაჩესკის მაზრაში იმას კალო აქვს, სადაც იმისი დედა სცხოვრობს. იქ იმისთანა მსხლები, ნესვები და „კაბაკები“ იცის, რომ კაცს გააშტერებს. გოგრას ხახოლები „კაბაკს“ ეძახიან, ხოლო კაბაკს კი შინკას; მასთან ისეთს მშვენიერს ბორშსა ხარშავენ, რომ ვერ წარმოიდგენთ. კარგა ხნის ყურის გდების შემდეგ ჩვენ ყველას ერთმა და იმავე აზრმა გაგვიელვა თავში. „იცით, ძლიერ კარგი იქმნება, რომ ეგენი ერთმანეთს შევათვისოთ“,– მითხრა დირექტორის ცოლმა.

ჩვენც ყველას რაღაცაზე მოგვაგონდა, რომ ბელიკოვი უცოლო იყო. ახლა გასაოცრად გვეჩვენებოდა ის, რაიც აქამომდის ვერ შეგვემჩნია იმის ცხოვრებაში. წინად ის კითხვა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ბელიკოვს დედაკაცთან, ან როგორა სწყვეტავს ამ არსებითს საკითხს, არავის არ გვაინტერესებდა. იქნება ეს აზრადაც არ მოგვდიოდა იმისათვის, რომ იმკაცს, რომელიც ყოველ-ნაირ დარში კალოშებით დადის და ძილის დროს საბანში იმალება, გვეგონა, რომ სიყვარული არ შეუძლიანო. „ბელიკოვი უკვე ორმოცს წელს გადაცილებულია და ვარინკაც ოცდა-ათის წლისაა,—განაგრძო დირექტორის ცოლმა:—მე მგონია, ვარინკა გაჰყვება ბელიკოვს.“ რამდენი არა საჭირო და ცრუ რამ ხდება მოწყენილობისა გამო ამ ჩვენს პროვინციაში! ეს იმიტომ, რომ არ აკეთებენ იმას, რაც საჭიროა. აი, თუნდა მაშინაც: ისე უცბად საიდან მოგვინდა ბელიკოვის დაქორწინება, რომლის წარმოდგენაც კი ძნელი იყო. დირექტორის ცოლმა აილო ლოჟის ბილეთი და ვხედავთ, რომ ვარინკა და პატარა შეხრუნტული ბელიკოვიც, თითქოს მარწუხით გამოუთრევიათ სახლიდანაო, იქ არიან. მე ვმართავდი საღამოს და ქალები თხოულობდნენ, რომ უთუოდ ბელიკოვსა და ვარინკასაც დაუძახეთ. ერთის სიტყვით, დაიწყო მანქანამ მუშაობა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ არც ვარინკა იყო გათხოვების წინააღმდეგი, მით უმეტეს, რომ ძმასთან ცხოვრება არ ემხიარულებოდა, რადგან ისინი მთელს დღეებს სულ ლანძღვა-გინე-



მანჯურიას გზაზე.—არტილერიის გადაზიდვა.

*) იხ. „დამატება“ № 200.



იაპონიის ფლოტის იერიში პორტარტურზე.



იაპონელების ჯარის გადმოსხმა ჩემულპოში.

ბაში ატარებდნენ. აი სცენა: კოვალენკო, რომელსაც ცალს ხელში რამდენიმე წიგნი უჭირავს და მეორეში— სქელი ჯოხი, ქუჩაში მოდის და თან ვარინკაც წიგნებით მოსდევს.

„— შენ ხომ ეს არ წაგიკითხნია! —ხმა-მაღლა ებაასება ვარინკა.—მე გეუბნები და ვფიცავ კიდეც, რომ სრულებით არ წაგიკითხნია".

„— მე კიდევ შენ გეუბნები, რომ წამიკითხნია" — ჯოხის რახუნით უყვირის კოვალენკო.

„ — ოჰ, ღმერთო ჩემო, რაღასა სჯავრობ, ჩვენი ლაპარაკი ხომ პრინციპიალურია".

„— მე შენ გეუბნები, რომ წამიკითხნია!"—უფრო ხმა მაღლა უყვირის კოვალენკო.

სახლშიაც, თუ უცხო ვისმე დაიგულებდნენ, ერთს ალიაქოთს ასტეხდნენ. ამ გვარმა ცხოვრებამ უსათუოდ თავი მოაბეზრა ვარინკას და მზად იყო გაჰყოლოდა ისეთს ვისმესაც, როგორც, მაგალითად, ბერძნულის ენის მასწავლებელი ბელიკოვი იყო. თუმცა კი ესეც სათქმელია, რომ ქალისთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვეს, ოღონდ გათხოვდეს კი. ასეა თუ ისე, ვარინკა ცხადად თანაუგრძნობდა ბელიკოვს. ბელიკოვი? ის კოვალენკოსთანაც ისევე დადიოდა, როგორც ჩვენთან. მივიდოდა თუ არა, დაჯდებოდა და ჩუმად იყო. ბელიკოვი სდუმდა, ხოლო ვარინკა კი მღეროდა „ჰქრიან ქარნი“-ს, ან ჩაფიქრებული თავის შავის თვალებით იმას შესცქეროდა, ან და უცებ გადიხარხარებდა: ჰა, ჰა, ჰა! სამიჯნურო საქმეში, განსაკუთრებით ცოლის შერთვაში, შთაგონება დიდს როლს თამაშობს. ყველანი-დიდი თუ პატარა—არწმუნებდნენ ბელიკოვს, რომ ცოლის შერთვის მეტი იმას აღარა დარჩენია-რა. ამასთან ვარინკაც არ იყო უინტერესო, იგი სტატსკის სეკრეტრის ქალი იყო და, რაც უფრო უმთავრესია, ეს პირველი ქალი იყო, რომელიც ბელიკოვს ასე ალერსიანად და გულიანად მოეპყრა. ბელიკოვს თავბრუ დაესხა და გადასწყვიტა, რომ ცოლის შერთვა საჭიროაო.

— სწორეთ,-აი, აქ უნდა წაგერთმიათ მისთვის კალოშები და ქოლგა.—წაილუღლუღა ივან ივანიჩმა.

— წარმოიდგინეთ, რომ ეს შეუძლებელი გახდა. ვარინკას სურათი იმან მაგიდაზედ დაიდგა და ჩემთან მოსვლის დროს სულ ვარინკასა, ოჯახურ ცხოვრებასა და იმაზე ლაპარაკობდა, რომ ქორწინება სერიოზული ნაბიჯიაო. იგი ხშირად კოვალენკოვებთან იმყოფებოდა, მაგრამ ცხოვრების სახე კი სრულებითაც არ შეუცვლია. პირიქით, ცოლის შერთვის გადაწყვეტილებამ როგორღაც ცუდად იმოქმედა იმაზედ: გახდა, გაყვითლდა და ემჩნეოდა, რომ უფრო ღრმად ჯდებოდა კოლოფში. ვარინკა ძლიერ მომწონს,— მეუბნებოდა ბელიკოვი ღიმილით,—ვიცი, რომ ცოლის შერთვა ყოველ კაცისთვის საჭიროა, მაგრამ... ყველა ეს, იცით, უცებ გამოტყვრა... ამიტომ საჭიროა ვიფიქრო“.—მერე რა არის აქ საფიქრებელი?—ვეუბნები,—შეირთე ცოლი და გათავდა. „რასა ბრძანებთ, ცოლის შერთვა სერიოზული ნაბიჯია. უნდა ჯერ აიწონ-დაიწონოს მომავალი ვალდებულება, რომ შემდეგში არა გამტყვრეს რა. მოსვენებას არ მაძლევს ესა და რომ მეშინიან, მთელი ღამეები არა მძინავს. უნდა გამოგიტყდეთ კიდეცა, ვარინკა და იმისი ძმა საოცრად მსჯელობენ და საოცარი ხასიათიცა აქვთ. შეირთავ ცოლს და შემდეგში ცუდი რამ გამოგიტვრება“.

ამის გამო იგი აგვიანებდა წინადადებას, თუმცა კი ვარინკასთან ყოველ დღე დასეირნობდა, რადგან ჰფიქრობდა, ამგვარი ქცევა იმის მდგომარეობაში აუცილებლად საჭიროაო. ბოლოს და ბოლოს ბელიკოვი განახორციელებდა კიდეც თვის წინადადებას და მოხდებოდა ერთი ის არა საჭირო და სულელური ქორწინება, რომელსაც უსაქმობისა გამო ჩვენში ბევრი ადენს, რომ უცებ სკანდალი არ მომხდარიყო. საჭიროა გავიხსენოთ, რომ კოვალენკომ გაცნობის პირველ დღიდანვე შეიძულა ბელიკოვი. „არ მესმის, ღმერთმანი,—გვეუბნებოდა იგი მხრების შეშმუშვნით,—როგორ ინელებთ ბელიკოვის საზიზღარ სახეს. ეჰ, ბატონებო, როგორ სცხოვრობთ აქ? სულის შემხუთველი ატმოსფერაა თქვენში. განა თქვენ პედაგოგები და მასწავლებლები ხართ? თქვენა ხართ ჩინ-მენდლების მამდევარნი, თქვენ მეცნიერების ტაძარი კი არა, კეთილ მოწესეობის სამმართველო გაქვთ, რომელსაც ისეთივე მჟავე სუნი სდის, როგორც საპოლიციო ბუდკას. არა, ჩემო ძმაო, ერთ—ორ თვეს კიდევ გაგიძლებთ და შემდეგ წავალ ჩემთვის კალოებზე, სადაც კიბოს დაჭერას და ხახოლთა ბავშვების აღზრდას შეუდგები. მე წავალ და თქვენ იუდასთან ერთად აქ დარჩით. „ნეხაი ვინ ლოპნე“. ხან კავალენკო სიცილს მოჰყვებოდა და ხელების გაშლით მკითხავდა: „რას უზის ბელიკოვი ჩემთან? რა უნდა? ზის მარტო და იყურებაო“. კოვალენკომ ბელიკოვს ახალი სახელი დაარქვა „გლიტაი აბოჟ პაუკი“. ერთხელ, როდესაც დირექტორის ცოლმა სიტყვაში გაუტარა კოვალენკოს, კარგი იქნება შენი დაჲ ყველგან და ყველასაგან პატივცემულს ბელიკოვს მივათხოვოთო, იმან წარბები შეიჭმუხვნა და წაიბუტბუტა: „ეგ რა ჩემი საქმეა. ვარინკამ თუნდა ქვემძრომი შეირთოს, მე კი სხვის საქმეში ჩარევა არ მიყვარს“. საწყალს ბელიკოვს სხვა უბედურებაც დაატყდა თავს. ვიღაცა გაიძვერას შემდეგი კარიკატურა დაეხატა: ბელიკოვი თივის კალოშებით, აკეცილ შალვრით და ქოლგით ვარინკასთან ხელი-ხელს გაყრილი საიდღაც მიდის; ქვეიდანაც წარწერა აქვს: „შეყვარებული ანთროპოსი“. ცხადია, რომ მხატვარს იმის დახატვისთვის ერთი და ორი დღე არ მოუნდომებია, რადგან სავაჟო და საქალებო გიმნაზიის და აგრეთვე სემინარიის მასწავლებლებმაც ყველამ თითო ეგზემპლიარი მიიღო, მათ შორის ბელიკოვმაც. ამ კარიკატურამ ბელიკოვზე ცუდი გავლენა იქონია.

**გლახა ხუცესი.**

(დასასრული იქნება)



— ვაიმე! იხრჩობა ჩემი შვილი, ვინ არის ღვთისნიერი, გადაარჩინოს!..

— ტანისამოსი დამისველდება; თუ ამ ტანისამოსის ფასს, ოცდა ათ მანეთს მომცემ, მე გადავარჩენ.



— როგორ! ოცდა ათი მანეთი მოგცე ამ ძველ ტანისამოსში?! არას დროს!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.